თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს

2018 წლის 9 ივლისი

სხდომის ოქმი #10

სხდომას ესწრებოდნენ: ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი–23, სტუდენტი–0, სულ–23 წევრი.

დღის წესრიგი

1. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

2. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ტურიზმის სამაგისტრო პროგრამის ანკეტა-კითხვარში ცვლილების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

3. საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტების შემადგენლობის ცვლილების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

4. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

5. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დისერტანტების სადისერტაციო კომისიის შემადგენლობაში ცვლილების შესახებ

/სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურსი უფროსი, მ. ლობჟანიძე/

6. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულების მე-20 მუხლის 20.3 პუნქტში განსახორციელებელი ცვლილების შესახებ

/სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურსი უფროსი, მ. ლობჟანიძე/

7. მიმდინარე საკითხები

სხდომის თავმჯდომარემ, დეკანმა, პროფ. გიორგი ღაღანიძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის დამტკიცების საკითხი.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: **მომხრე – 23**
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2018 წლის 9 ივლისის #10 სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

ქალბატონმა ე. ხარაიშვილმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოსულია ტურიზმის სკოლის დირექტორის ს. მელაძის და მთავარი სპეციალისტის მ. ზედგინიძის წერილი (#13089/29, 28/06/2-18), რომლითაც ითხოვენ მიენიჭოს ,,ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ტურიზმში" 2017-2018 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ტურიზმის საბაკალავრო-საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს:

გვარი, სახელი	*პირადი ნომერი*
	<u>დიპლომი ჩვეულებრივი</u>
დავლიანიძე გიორგი	01005029608

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: **მომხრე – 23**
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: მიენიჭოს ,,ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ტურიზმში" 2017-2018 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ტურიზმის საბაკალავრო-საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს - დავლიანიძე გიორგი (პ/ნ 01005029608, დიპლომი ჩვეულებრივი).

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ტურიზმის სამაგისტრო პროგრამის ანკეტა-კითხვარში ცვლილების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

ქალბატონმა ე. ხარაიშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ აკრედიტაციაზე გადაცემულია ფაკულტეტისა და აკადემიურ საბჭოებზე დამტკიცებული სამაგისტრო პროგრამა ,,ტურიზმი." აღნიშნულ პროგრამას აქვს შემდეგი წინაპირობები:

1. მისაღები გამოცდა ჩატარდება საგანში „შესავალი ტურიზმში" ნაცვლად საგნისა „ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის საფუძვლები."
2. გამოცდა ჩატარდება საგანში „ინგლისური ენა B1.1 "

აღნიშნულის შესაბამისად საჭიროა ცვლილებები შევიდეს ტურიზმის სამაგისტრო პროგრამის ანკეტა-კითხვარში. ანკეტა-კითხვარი დაგზავნილია საბჭოს წევრებზე.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გამოითქვა სხვადასხვა თვალსაზრისი.

აზრი გამოთქვეს: აკად. ა. სილაგაძემ, პროფ. თ შენგელიამ, ასოც. პროფ. ნ. კაციტაძემ.

აკად. ა. სილაგაძე - მან აღნიშნა, რომ ინგლისური ენის ჩაბარების მოთხოვნა არის შეზღუდვა და მის ნაცვლად უნდა ეწეროს ,,უცხო ენა."

პროფ. ე. ხარაიშვილი - მან აღნიშნა, რომ პროგრამა დამტკიცებულია ამ მოთხოვნის მიხედვით როგორც ფაკულტეტის საბჭოს, ასევე აკადემიური საბჭოს სხდომებზე.

პროფ. თ შენგელია - მან აღნიშნა, რომ ეთანხმება გამოთქმულ მოსაზრებას და ეს მოთხოვნა მაგისტრანტებს არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს.

დეკანი, საბჭოს თავმჯდომარე, პროფ. გ. ღაღანიძე - მან განმარტა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი თვლის, რომ ინგლისური ენის გარკვეულ დონეზე ცოდნა აუცილებელია ამ პროგრამის ასათვისებლად და ამიტომ დაწესდა დამატებითი ბარიერი.

ასოც. პროფ. ნ. კაციტაძე - მან აღნიშნა, რომ შემდგომ ეტაპებზე შესაძლებელია მაგისტრანტმა აიმაღლოს ინგლისური ენის ცოდნის დონე. ეს ბარიერი დაწესებულია იმიტომ, რომ ძირითადი ლიტერატურა ინგლისურ ენაზეა.

გაიმართა კენჭისყრა.

კენჭისყრის შედეგები: **მომხრე – 20**

წინააღმდეგი – 1

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო - 2

დაადგინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ტურიზმის სამაგისტრო პროგრამის ანკეტა-კითხვარში შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

1. მისაღები გამოცდა ჩატარდება საგანში „შესავალი ტურიზმში" ნაცვლად საგნისა „ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის საფუძვლები."

2. გამოცდა ჩატარდება საგანში „ინგლისური ენა B1.1"

მოისმინეს: საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტების შემადგენლობის ცვლილების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

ქალბატონმა ე. ხარაიშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ ცვლილებები შედის ბიზნესის ადმინისტრირების, ეკონომიკისა და ტურიზმის პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტების შემადგენლობაში:

1. ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტების შემადგენლობაში:

ა. პროფ. თ. ბერიძე ჩანაცვლდა პროფ. გ. ღაღანიძით - ფაკულტეტის დეკანი;

ბ. დაემატა ასოც. პროფ. ნ. კაციტაძე- პროგრამის ხელმძღვანელი;

გ. ი. დარჩია ჩანაცვლდა ი. გრძელიძით - თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

2. ეკონომიკისა პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტების შემადგენლობაში:

ა. დაემატა პროფ. გ. ღაღანიძე - ფაკულტეტის დეკანი;

ბ. დაემატა ასოც. პროფ. ი. ნაცვლიშვილი - ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

გ. ი. დარჩია ჩანაცვლდა ი. გრძელიძით - თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

3. ტურიზმის პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტების შემადგენლობაში:

ა. პროფ. თ. ბერიძე ჩანაცვლდა პროფ. გ. ღაღანიძით - ფაკულტეტის დეკანი;

ბ. ი. დარჩია ჩანაცვლდა ი. გრძელიძით - თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: **მომხრე – 23**

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: ბიზნესის ადმინისტრირების, ეკონომიკისა და ტურიზმის პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტების შემადგენლობაში შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

1. **ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტების შემადგენლობაში:**

   ა. პროფ. თ. ბერიძე ჩანაცვლდა პროფ. გ. ღაღანიძით - ფაკულტეტის დეკანი;

   ბ. დაემატა ასოც. პროფ. ნ. კაციტაძე- პროგრამის ხელმძღვანელი;

   გ. ი. დარჩია ჩანაცვლდა ი. გრძელიძით - თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

2. **ეკონომიკისა პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტების შემადგენლობაში:**

   ა. დაემატა პროფ. გ. ღაღანიძე - ფაკულტეტის დეკანი;

   ბ. დაემატა ასოც. პროფ. ი. ნაცვლიშვილი - ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

   გ. ი. დარჩია ჩანაცვლდა ი. გრძელიძით - თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

3. **ტურიზმის პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტების შემადგენლობაში:**

   ა. პროფ. თ. ბერიძე ჩანაცვლდა პროფ. გ. ღაღანიძით - ფაკულტეტის დეკანი;

   ბ. ი. დარჩია ჩანაცვლდა ი. გრძელიძით - თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

ქალბატონმა ე. ხარაიშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შემოვიდა წერილი (№13150/29, 28.06.2018), რომლშიც აღნიშნულია, რომ ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობის 2005 წლის კურსდამათავრებული ირაკლი გოგლიჩიძე ითხოვს დიპლომის დანართს. დანართის მომზადების პროცესში საჭირო გახდა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 16 აპრილის №55/01-01 ბრძანების შესაბამისად დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების შექმნა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი საარქივო მასალების საფუძველზე დადგინდა, რომ **ირაკლი გოგლიჩიძე** მისაღები გამოცდების შედეგების საფუძველზე 2001 წელს

ჩაირიცხა ეკონომიკის ფაკულტეტის დასწრებული სწავლების არასაბიუჯეტო განყოფილების ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობაზე (ბრძანება №4/760, 27.08.2001).

ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 2005 წლის 8 ივლისის №4/611 ბრძანებით ეკონომიკური ფაკულტეტის არასაბიუჯეტო განყოფილების კურსდამთავრებულ ირაკლი გოგლიჩიძეს მიენიჭა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაციით სახელმწიფო ფინანსების სპეციალობით და მიეცა დიპლომი წარჩინებითი. ამასთან, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მისი გვარი არ იძებნება ეკონომიკის ფაკულტეტის კვალიფიკაციის მინიჭების 2005 წლის სხდომის ოქმებში.

2005 წლის დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში ირაკლი გოგლიჩიძის სახელზე დიპლომი რეგისტრირებული არ არის.

სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა დამატებით ფაკულტეტზე მოიძია ინფორმაცია ირაკლი გოგლიჩიძის შესახებ. 2001-2005 სასწავლო წლებში ეკონომიკის ფაკულტეტის მიერ წარმოებული სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ჟურნალებიდან ჩანს, რომ ირაკლი გოგლიჩიძე სწავლობდა ეკონომიკის ფაკულტეტის ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობის ფინანსების მიმართულებით. მას შეთავაზებული პროგრამის ყველა დისციპლინაში მიღებული აქვს დადებითი შეფასება და მიღებული შეფასებების მიხედვით ეკუთვნის წარჩინებითი დიპლომი. ასევე, მოძიებული იქნა თსუ რექტორის ბრძანება №4/611, 8.07.2005, სადაც ფანქრით გადახაზულია ირაკლი გოგლიჩიძის გვარი და გვერდზე აქვს გაკეთებული ჩანაწერი „ამოღებული იქნას“.

აღნიშნულიდან გამომდინარე, თსუ არქივის მიერ წარმოდგენილი ეკონომიკის ფაკულტეტის ფინანსების სპეციალობაში ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის 2005 წლის 8 ივნისის შემაჯამებელი ოქმში (№5) დაფიქსირებული კურსდამთავრებულთა გვარები შეუდარდა თსუ რექტორის №4/611, 08.07.2005 ბრძანებაში დაფიქსირებულ კურსდამთავრებულთა გვარებს. შედარების შედეგად, აღმოჩნდა, რომ ოქმში არ არის დაფიქსირებული 3 კურსდამთვრებული (ირაკლი გოგლიჩიძე, თორნიკე ეჯიბაძე და ლევან ლაზაგაშვილი). ბრძანებაში სამივე გვარის გასწვრივ ფანქრით (სავარაუდოდ მდივნის მიერ) გაკეთებულია ჩანაწერი „ამოღებული იქნას“ ან „ამოსაღებია“. აღნიშნული ფაქტი ეჭვქვეშ აყენებდა ზემოთ ჩამოთვლილი კურსდამთავებულებისთვის ხარისხის მინიჭების ფაქტს.

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა თსუ არქივიდან დამატებით მოითხოვა ინფორმაცია ზემოაღნიშნულ კურსდამთვრებულების

შესახებ, კერძოდ, სამართლებრივი აქტი, რომელიც დაადასტურებდა მათი თსუ რექტორის №4/611, 08.07.2005 ბრძანებაში განხორციელებულ ცვლილებას კურსდამთაცრებულების ბრძანებიდან ამოღების შესახებ. თსუ არქივიდან მიღებული პასუხიდან გაირკვა, რომ ეკონომიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებულ სტუდენტთა (ირაკლი გოგლიჩიძე, თორნიკე ეჯიბაძე და ლევან ლაზაგაშვილი) 2005 წლის 8 ივლისის №4/611 ბრძანებიდან ამოღების შესახებ ინფორმაცია არ ფიქსირდება.

თსუ რექტორის 2005 წლის 5 ივლისის №109 ბრძანებით ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ენიჭებოდათ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებს, რომელთაც სრულად შეასრულეს შესაბამისი სპეციალობის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა სემესტრული მოთხოვნა. ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლი იღებდა გადაწყვეტილებას თითოეული კურსდამთავრებულისთვის აკადმიური ხარისხის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და გასაცემი დიპლომის შესახებ და გადაწყვეტილება ფორმდებოდა სათანადო ოქმით (ოქმი №25 ბ). აღნიშნულ ოქმში ფიქსირდებოდნენ ის კურდამთავრებულები, რომელთაც შესრულებული ჰქონდათ შესაბამისი სპეციალობის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა სემესტრული მოთხოვნა და ამასთან, არასაბიუჯეტო განყოფილების კურსდამთავრებულებს დაფარული ჰქონდათ სწავლის საფასური. სწორედ, ეს შეიძლებოდა ყოფილიყო მიზეზი იმისა, რომ კურსდამთავრებული ირაკლი გოგლიჩიძე არ იქნა შეტანილი ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის შემაჯამებელ ოქმში. გაუგებარია ის ფაქტიც თუ როგორ მოხდა კურსდამთავრებულის გვარი (ირაკლი გოგლიჩიძე) ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 2005 წლის 8 ივლისის №4/611 ბრძანებაში. ფაკულტეტის მდივანმა დიპლომის დანართების მომზადებისას ირაკლი გოგლიჩიძის გვარის გასწვრივ გააკეთა ჩანაწერი „ამოღებული იქნეს" და არ მოამზადა მისი დანართი. რაც შეეხება კურსდამთვრებულ ირაკლი გოგლიჩიძეს, მას ამ წლების მანძილზე არ გადაუხდია სწავლის საფასური და შესაბამისად დავალიანების გამო არ აუღია დიპლომი. კურსდამთავრებულის გადმოცემით სწავლის საფასური გადაიხადა დაგვიანებით, კერძოდ, 2018 წელს. ხოლო დიპლომის აღების თაობაზე ფაკულტეტს მომართა 2018 წლის 22 მაისს და წარმოადგინა თსუ უნივერსიტეტის საფინანსო განყოფილების მიერ გაცემული ცნობა ფინანსური დავალიანების შესახებ. საფინანსო განყოფილების თანამშრომელთან ქალბატონ მაია კობახიძესთან სატელეფონო საუბრისას დადგინდა, რომ მან სწავლის საფასური გადაიხადა 2018 წლის 22 მაისს, რის საფუძველზე საფინანსო ბაზაში ინფორმაცია განთავსდა და შესაბამისად, ცნობა დავალიანების შესახებ გაიცა იმავე დღეს.

ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 2005 წლის 8 ივლისის №4/611 ბრძანებით ეკონომიკური ფაკულტეტის არასაბიუჯეტო განყოფილების

შესახებ, კერძოდ, სამართლებრივი აქტი, რომელიც დაადასტურებდა მათი თსუ რექტორის №4/611, 08.07.2005 ბრძანებაში განხორციელებულ ცვლილებას კურსდამთაცრებულების ბრძანებიდან ამოღების შესახებ. თსუ არქივიდან მიღებული პასუხიდან გაირკვა, რომ ეკონომიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებულ სტუდენტთა (ირაკლი გოგლიჩიძე, თორნიკე ეჯიბაძე და ლევან ლაზაგაშვილი) 2005 წლის 8 ივლისის №4/611 ბრძანებიდან ამოღების შესახებ ინფორმაცია არ ფიქსირდება.

თსუ რექტორის 2005 წლის 5 ივლისის №109 ბრძანებით ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ენიჭებოდათ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებს, რომელთაც სრულად შეასრულეს შესაბამისი სპეციალობის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა სემესტრული მოთხოვნა. ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლი იღებდა გადაწყვეტილებას თითოეული კურსდამთავრებულისთვის აკადმიური ხარისხის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და გასაცემი დიპლომის შესახებ და გადაწყვეტილება ფორმდებოდა სათანადო ოქმით (ოქმი №25 ბ). აღნიშნულ ოქმში ფიქსირდებოდნენ ის კურდამთავრებულები, რომელთაც შესრულებული ჰქონდათ შესაბამისი სპეციალობის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა სემესტრული მოთხოვნა და ამასთან, არასაბიუჯეტო განყოფილების კურსდამთავრებულებს დაფარული ჰქონდათ სწავლის საფასური. სწორედ, ეს შეიძლებოდა ყოფილიყო მიზეზი იმისა, რომ კურსდამთავრებული ირაკლი გოგლიჩიძე არ იქნა შეტანილი ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის შემაჯამებელ ოქმში. გაუგებარია ის ფაქტიც თუ როგორ მოხდა კურსდამთავრებულის გვარი (ირაკლი გოგლიჩიძე) ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 2005 წლის 8 ივლისის №4/611 ბრძანებაში. ფაკულტეტის მდივანმა დიპლომის დანართების მომზადებისას ირაკლი გოგლიჩიძის გვარის გასწვრივ გააკეთა ჩანაწერი „ამოღებული იქნეს" და არ მოამზადა მისი დანართი. რაც შეეხება კურსდამთვრებულ ირაკლი გოგლიჩიძეს, მას ამ წლების მანძილზე არ გადაუხდია სწავლის საფასური და შესაბამისად დავალიანების გამო არ აუღია დიპლომი. კურსდამთავრებულის გადმოცემით სწავლის საფასური გადაიხადა დაგვიანებით, კერძოდ, 2018 წელს. ხოლო დიპლომის აღების თაობაზე ფაკულტეტს მომართა 2018 წლის 22 მაისს და წარმოადგინა თსუ უნივერსიტეტის საფინანსო განყოფილების მიერ გაცემული ცნობა ფინანსური დავალიანების შესახებ. საფინანსო განყოფილების თანამშრომელთან ქალბატონ მაია კობახიძესთან სატელეფონო საუბრისას დადგინდა, რომ მან სწავლის საფასური გადაიხადა 2018 წლის 22 მაისს, რის საფუძველზე საფინანსო ბაზაში ინფორმაცია განთავსდა და შესაბამისად, ცნობა დავალიანების შესახებ გაიცა იმავე დღეს.

ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 2005 წლის 8 ივლისის №4/611 ბრძანებით ეკონომიკური ფაკულტეტის არასაბიუჯეტო განყოფილების

კურსდამთავრებულ ირაკლი გოგლიჩიძეს მიენიჭა <u>ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაციით სახელმწიფო ფინანსების სპეციალობით</u> და მიეცა დიპლომი წარჩინებით. ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახური შეეცადა დაეზუსტებინა კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული ხარისხი. შესაძლებლობის ფარგლებში მოძიებული იქნა თსუ-ს მიერ 2005 წელს გამოცემული ცნობარი, რომელიც მოიცავს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესახებ ფაქტობრივ ინფორმაციას ინსტიტუციური აკრედიტაციის მინჯაზე - 2004 წლის ბოლოსთვის. ცნობარიდან ჩანს, რომ ეკონომიკის ფაკულტეტის ბაკალავრიატში „ფინანსები და საბანკო საქმის" სპეციალობის კურსდამთავრებულთ ენიჭებოდათ *ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.*

ამრიგად, ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 2005 წლის 8 ივლისის №4/611 ბრძანებით ირაკლი გოგლიჩიძისთვის მინიჭებული ხარისხი არის ზოგადი და მას ნაცვლად „ბაკალავრის აკადემიური ხარისხისა" უნდა მიენიჭოს „ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი".

ქალბატონმა ე. ხარაიშვილმა საბჭოს წინაშე დააყენა წინადადება, რომ ირაკლი გოგლიჩიძეს თსუ რექტორის ბრძანებით (№4/611, 8.07.2005) მინიჭებული **„ბაკალავრის აკადემიური ხარისხის"** ნაცვლად მიენიჭოს *„ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი".*

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 23

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობის 2005 წლის კურსდამთავრებულ ირაკლი გოგლიჩიძეს თსუ რექტორის ბრძანებით (№4/611, 8.07.2005) მინიჭებული ხარისხის **„ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, სპეციალობა - სახელმწიფო ფინანსები"** ნაცვლად მიენიჭოს *„ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, სპეციალობა - ფინანსები".*

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დისერტანტების სადისერტაციო კომისიის შემადგენლობაში ცვლილების შესახებ

/სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურსი უფროსი, მ. ლობჟანიძე/

1. ქალბატონმა მ. ლობჟანიძემ აღნიშნა, რომ ფაკულტეტის დისერტანტების სადისერტაციო კომისიის შემადგენლობაში შედის ცვლილებები, რის შემდეგაც სადისერტაციო კომისიების შემადგენლობები წარმოდგენილია შემდეგი სახით:

ა) **ბიზნესის ადმინისტრირების** სადოქტორო პროგრამის დისერტანტი **ირაკლი დოღონაძე**
სადისერტაციო ნაშრომი: **„მონეტარული პოლიტიკის გავლენა კაპიტალის ბაზრების ფუნქციონირებაზე“**
მეცნიერ-ხელმძღვანელი: **ასოცირებული პროფესორი ჯგერენაია ემზარი**

სადისერტაციო კომისიის შემადგენლობა:
1. პროფესორი თოდუა ნუგზარი
2. პროფესორი ღაღანიძე გიორგი
3. პროფესორი შენგელია თემური
4. პროფესორი ხარაბაძე ელენე
5. პროფესორი არჩვაძე იოსები **(ქუთაისის უნივერსიტეტი)**
6. პროფესორი ყანდაშვილი თემური **(საქართველოს ტექნიკური უნივეერსიტეტი)**
7. ასოცირებული პროფესორი ბარბაქაძე ხათუნა
8. ასოცირებული პროფესორი მაისურაძე მარინა
9. ასოცირებული პროფესორი ღუდუშაური ლეილა
10. ასოცირებული პროფესორი ჩიკვილაძე მიხეილი
11. ასოცირებული პროფესორი ჩუთლაშვილი ავთანდილი

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: **მომხრე – 23**
წინააღმდეგი – 0

ბ) **ბიზნესის ადმინისტრირების** სადოქტორო პროგრამის დისერტანტი **თორნიკე ხოშტარია**
სადისერტაციო ნაშრომი: **„ბიზნესის სტრატეგიის გავლენა საწარმოების საქმიანობის შედეგებზე საქართველოში“**
მეცნიერ-ხელმძღვანელი: **ასოცირებული პროფესორი შაბურიშვილი შოთა**
სადისერტაციო კომისიის შემადგენლობა:
1. პროფესორი თოდუა ნუგზარი
2. პროფესორი კოვზანაძე ირაკლი

3. პროფესორი ნარმანია დავითი
4. პროფესორი სიჭინავა დემური
5. პროფესორი ღაღანიძე გიორგი
6. პროფესორი შენგელია თემური
7. პროფესორი თუთბერიძე გოჩა (ევროპის უნივერსიტეტი)
8. ასოცირებული პროფესორი სიხარულიძე დავითი
9. ასოცირებული პროფესორი ქეშელაშვილი გიული
10. ასოცირებული პროფესორი ყორღანაშვილი ლარისა
11. ასოცირებული პროფესორი პაიჭაძე ნუგზარი

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 23

წინააღმდეგი – 0

გ) ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის დისერტანტი იოსებ მამუკელაშვილი

სადისერტაციო ნაშრომი: „საკუთარი კაპიტალის სტრუქტურის ანალიზის მეთოდოლოგია და რეგულირების კონცეპტუალური პრობლემები საქართველოს სააქციო საზოგადოებების მაგალითზე“

მეცნიერ-ხელმძღვანელი: პროფესორი ხარაბაძე ელენე

თანახელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ჩუთლაშვილი ავთანდილი

სადისერტაციო კომისიის შემადგენლობა:

1. პროფესორი ნარმანია დავითი
2. პროფესორი შენგელია თეიმურაზი
3. პროფესორი ქისტაური ლევანი (საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი)
4. ასოცირებული პროფესორი ბარბაქაძე ხათუნა
5. ასოცირებული პროფესორი კვატაშიძე ნადეჟდა
6. ასოცირებული პროფესორი მაისურაძე მარინა
7. ასოცირებული პროფესორი მუნჯიშვილი თეა
8. ასოცირებული პროფესორი სრესელი ნანა
9. ასოცირებული პროფესორი ჯიქია მერაბი

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 23

წინააღმდეგი – 0

დ) ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის დისერტანტი თეონა გოგიტიძე

სადისერტაციო ნაშრომი: "გენმოდიფიცირებული პროდუქციისადმი ქართველი მომხმარებლის დამოკიდებულების მარკეტინგული კვლევა (აჭარის მაგალითზე)"
მეცნიერ-ხელმძღვანელი: პროფესორი თოდუა ნუგზარი

სადისერტაციო კომისიის შემადგენლობა:
1. პროფესორი ღაღანიძე გიორგი
2. პროფესორი ბერულავა გიორგი (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი)
3. პროფესორი ჯოლია გურამი (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი)
4. პროფესორი ნარმანია დავითი
5. პროფესორი სიჭინავა დემური
6. პროფესორი შენგელია თემური
7. ასოცირებული პროფესორი კობალავა მარინე
8. ასოცირებული პროფესორი მღებრიშვილი ბაბულია
9. ასოცირებული პროფესორი ოქრუაშვილი ნანული
10. ასოცირებული პროფესორი ჯაში ჩარიტა
11. ასოცირებული პროფესორი კოჭლამაზაშვილი ლელა (გურამ თავართქილაძის სახელობის
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი)

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 23
წინააღმდეგი – 0

ე) ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის დისერტანტი თამარ ხაბელაშვილი

სადისერტაციო ნაშრომი: ,,საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების თანამედროვე მდგომარეობა და ევროკავშირთან ინტეგრაციის პერსპექტივები"
მეცნიერ-ხელმძღვანელი: პროფესორი შენგელია თემური

სადისერტაციო კომისიის შემადგენლობა:
1. პროფესორი ნარმანია დავითი
2. პროფესორი სიჭინავა დემური
3. პროფესორი ჯალაღონია დავითი (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი)
4. ასოცირებული პროფესორი ბერიშვილი ხათუნა
5. ასოცირებული პროფესორი დიხამინჯია ირმა (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი)
6. ასოცირებული პროფესორი რამიშვილი ბადრი

7. ასოცირებული პროფესორი სამადაშვილი უშანგი

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 23

წინააღმდეგი – 0

3) ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის დისერტანტი გურგენ კალაშიანი

სადისერტაციო ნაშრომი: ,,საწარმოთა გაერთიანების აღრიცხვის სრულყოფის საკითხები საქართველოს მაგალითზე"

მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი კვატაშიძე ნადეჟდა

სადისერტაციო კომისიის შემადგენლობა:

1. პროფესორი ხარაბაძე ელენე
2. პროფესორი დოლიაშვილი თინათინი (საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი)
3. ასოცირებული პროფესორი ბარბაქაძე ხათუნა
4. ასოცირებული პროფესორი მაისურაძე მარინა
5. ასოცირებული პროფესორი მუნჯიშვილი თეა
6. ასოცირებული პროფესორი საბაური ლევანი
7. ასოცირებული პროფესორი სრესელი ნანა
8. ასოცირებული პროფესორი ჭილაძე იზოლდა
9. ასოცირებული პროფესორი ჩიკვილაძე მიხეილი
10. ასოცირებული პროფესორი ჩუთლაშვილი ავთანდილი
11. ასოცირებული პროფესორი ჯიქია მერაბი

2. ქალბატონმა მ. ლობჟანიძემ ფაკულტეტის საბჭოს წინაშე ასევე დააყენა დისერტანტებისათვის კომისიის თავმჯდომარის, მოადგილის და მდივნის არჩევის და დისერტაციის დაცვის თარიღის განსაზღვრის საკითხი, კერძოდ:

ა) ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დისერტანტი გიორგი დანელია

სადისერტაციო ნაშრომი: ,,მთავრობისა და სავალუტო ბაზრის მონაწილეების სტრატეგიული ურთიერთდამოკიდებულება საერთაშორისო სავალუტო კრიზისის პირობებში"

მეცნიერ-ხელმძღვანელი: პროფესორი გველესიანი რევაზი

სადისერტაციო კომისიის შემადგენლობა:

1. აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა
2. აკადემიკოსი ავთანდილ სილაგაძე
3. პროფესორი ანანიაშვილი იური

4. პროფესორი ბერიძე თეიმურაზი
5. პროფესორი გელაშვილი სიმონი
6. პროფესორი მექვაბიშვილი ელგუჯა (თავმჯდომარე)
7. პროფესორი ხარაიშვილი ეთერი
8. პროფესორი ხადური ნოდარი
9. პროფესორი ტუხაშვილი მირიანი (მოადგილე)
10. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი რამაზ აბესაძე (პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი)
11. ასოცირებული პროფესორი გულნაზ ერქომაიშვილი (მდივანი)

დისერტაციის დაცვის თარიღი: 2018 წელი, 26 ივლისი 12 საათი, 206 აუდიტორია

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 23

წინააღმდეგი – 0

ბ) ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის დისერტანტი დავით ქადაგიძე

სადისერტაციო ნაშრომი: „სტრატეგიული გადაწყვეტილებები ჰიდროენერგეტიკული სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის“

მეცნიერ-ხელმძღვანელი: პროფესორი ღაღანიძე გიორგი

სადისერტაციო კომისიის შემადგენლობა:

1. პროფესორი ბერულავა გიორგი (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი)
2. პროფესორი თოდუა ნუგზარი (თავმჯდომარე)
3. პროფესორი ნარმანია დავითი
4. პროფესორი შენგელია თემური
5. ასოცირებული პროფესორი რამიშვილი ბადრი (მოადგილე)
6. ასოცირებული პროფესორი ფარესაშვილი ნინო (მდივანი)
7. ასოცირებული პროფესორი ქეშელაშვილი გიული
8. ასოცირებული პროფესორი კიკუტაძე ვასილი
9. ასოცირებული პროფესორი პაიჭაძე ნუგზარი

დისერტაციის დაცვის თარიღი: 2018 წელი, 20 ივლისი 14 საათი, 206 აუდიტორია

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 23

წინააღმდეგი – 0

გ) ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის დისერტანტი ლაშარი ქურდაშვილი
სადისერტაციო ნაშრომი: „ადამიანური კაპიტალის კომპონენტი ტრანსნაციონალური კომპანიების მართვაში“
მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი პაიჭაძე ნუგზარი

სადისერტაციო კომისიის შემადგენლობა:

1. პროფესორი შენგელია თემური (მოადგილე)
2. პროფესორი ნარმანია დავითი (თავმჯდომარე)
3. პროფესორი ღაღანიძე გიორგი
4. ასოცირებული პროფესორი რამიშვილი ბადრი
5. ასოცირებული პროფესორი ფარესაშვილი ნინო (მდივანი)
6. ასოცირებული პროფესორი ჩოხელი ეკა
7. ასოცირებული პროფესორი ქეშელაშვილი გიული
8. ასოცირებული პროფესორი სიხარულიძე დავითი
9. ეკონომიკის დოქტორი ჯავახიშვილი რევაზი (პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი)

დისერტაციის დაცვის თარიღი: 2018 წლის 20 ივლისი, 11 საათი, 206 აუდიტორია

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 23
წინააღმდეგი – 0

დ) ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის დისერტანტი თინათინ ჟორჟოლიანი
სადისერტაციო ნაშრომი: „საინვესტიციო გარემოს ზეგავლენა სამშენებლო ბიზნესის განვთარებაზე (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაგალითზე)”
მეცნიერ-ხელმძღვანელი:პროფესორი შენგელია თემური

სადისერტაციო კომისიის შემადგენლობა:

1. პროფესორი ბერულავა გიორგი (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი)
2. პროფესორი ნარმანია დავითი
3. ასოცირებული პროფესორი ბერიშვილი ხათუნა (მდივანი)
4. ასოცირებული პროფესორი სამადაშვილი უშანგი (თავმჯდომარე)
5. ასოცირებული პროფესორი სიხარულიძე დავითი
6. ასოცირებული პროფესორი ყორღანაშვილი ლარისა (მოადგილე)
7. ასოცირებული პროფესორი ჩიკვილაძე მიხეილი

დისერტაციის დაცვის თარიღი: 2018 წელი, 24 ივლისი, 12 საათი , 206 აუდიტორია

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 23

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს:

1. დამტკიცდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დისერტანტებისთვის სადისერტაციო კომისიის შემადგენლობები;

2. დამტკიცდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დისერტანტებისათვის კომისიის თავმჯდომარეები, მოადგილეები და მდივნები, ასევე დისერტაციის დაცვის თარიღები.

მოისმინეს: აკადემიური საბჭოს 2018 წლის 26 თებერვლის №77/2018 დადგენილებაში „დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 16 მარტის №25/2011 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ მე-10 მუხლს დაემატა შემდეგი შინაარსის **5[1]** პუნქტის დამატების შესახებ

/სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურსი უფროსი, მ. ლობჟანიძე/

ქალბატონმა მ. ლობჟანიძემ აღნიშნა, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის შუამდგომლობის საფუძველზე ეთხოვოს თსუ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 26 თებერვლის №77/2018 დადგენილებაში „დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 16 მარტის №25/2011 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ მე-10 მუხლს დაემატა შემდეგი შინაარსის **5[1]** პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსი:

,,იმ დოქტორანტებისთვის, რომლებიც დოქტორანტის სტატუსს მოიპოვებენ 2018-2019 სასწავლო წლიდან, დისერტაციის დაცვის აუცილებელი პირობაა შემდეგი სახის ორი სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნება - რეფერირებადი (Peer-reviewed) სამეცნიერო სტატიები ისეთ საერთაშორისო ჟურნალებში (ან საკონფერენციო მასალებში), რომლებსაც აქვთ ISSN კოდი და ჰყავთ საერთაშორისო სარედაქციო საბჭო (ან სამეცნიერო კომიტეტი) და რომლებიც ვრცელდება საერთაშორისო მასშტაბით და არის ღია საერთაშორისო თანამშრომლობისთვის. ამავდროულად, ამ ორი პუბლიკაციიდან ერთი მაინც

უნდა იყოს ისეთ საერთაშორისო ჟურნალში (ან საკონფერენციო მასალებში), რომელიც ინდექსირებულია Scopus-ის ან Web of Science-ის, ან **ERIH PLUS-ის** (ERIH PLUS მხოლოდ იმ დოქტორანტებისთვის, რომლებიც მუშაობენ ქართველოლოგიის და კავკასიოლოგიის, **ეკონომიკისა და ბიზნესის** მიმართულებებით) და **EBSCO ბაზებში.**"

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 23

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს:

აკადემიური საბჭოს 2018 წლის 26 თებერვლის №77/2018 დადგენილებაში „დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2011 წლის 16 მარტის №25/2011 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ მე-10 მუხლს დაემატა შემდეგი შინაარსის **5[1]** პუნქტი:

5[1]. იმ დოქტორანტებისთვის, რომლებიც დოქტორანტის სტატუსს მოიპოვებენ 2018-2019 სასწავლო წლიდან, დისერტაციის დაცვის აუცილებელი პირობაა შემდეგი სახის ორი სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნება - რეფერირებადი (Peer-reviewed) სამეცნიერო სტატიები ისეთ საერთაშორისო ჟურნალებში (ან საკონფერენციო მასალებში), რომლებსაც აქვთ ISSN კოდი და ჰყავთ საერთაშორისო სარედაქციო საბჭო (ან სამეცნიერო კომიტეტი) და რომლებიც ვრცელდება საერთაშორისო მასშტაბით და არის ღია საერთაშორისო თანამშრომლობისთვის. ამავდროულად, ამ ორი პუბლიკაციიდან ერთი მაინც უნდა იყოს ისეთ საერთაშორისო ჟურნალში (ან საკონფერენციო მასალებში), რომელიც ინდექსირებულია Scopus-ის ან Web of Science-ის, ან ERIH PLUS-ის (ERIH PLUS მხოლოდ იმ დოქტორანტებისთვის, რომლებიც მუშაობენ ქართველოლოგიის და კავკასიოლოგიის მიმართულებებით) ბაზებში."

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2018 წლის 9 ივლისის #10 საბჭოს გადაწყვეტილებით, აკადემიური საბჭოს 2018 წლის 26 თებერვლის №77/2018 დადგენილებაში შევიდეს ცვლილება და აკადემიური საბჭოს 2018 წლის 26 თებერვლის №77/2018 დადგენილებაში „დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2011 წლის 16 მარტის №25/2011 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ მე-10 მუხლის **5[1]** პუნქტს დაემატოს:

,,იმ დოქტორანტებისთვის, რომლებიც დოქტორანტის სტატუსს მოიპოვებენ 2018-2019 სასწავლო წლიდან, დისერტაციის დაცვის აუცილებელი პირობაა შემდეგი სახის ორი სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნება - რეფერირებადი (Peer-reviewed) სამეცნიერო სტატიები ისეთ საერთაშორისო ჟურნალებში (ან საკონფერენციო მასალებში), რომლებსაც აქვთ ISSN კოდი და ჰყავთ საერთაშორისო სარედაქციო საბჭო (ან სამეცნიერო კომიტეტი) და რომლებიც ვრცელდება საერთაშორისო მასშტაბით და არის ღია საერთაშორისო თანამშრომლობისთვის. ამავდროულად, ამ ორი პუბლიკაციიდან ერთი მაინც უნდა იყოს ისეთ საერთაშორისო ჟურნალში (ან საკონფერენციო მასალებში), რომელიც ინდექსირებულია Scopus-ის ან Web of Science-

ის, ან **ERIH PLUS-ის** (ERIH PLUS მხოლოდ იმ დოქტორანტებისთვის, რომლებიც მუშაობენ ქართველოლოგიის და კავკასიოლოგიის, **ეკონომიკისა და ბიზნესის** მიმართულებებით) და **EBSCO ბაზებში**".

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულების მე-20 მუხლის 20.3 პუნქტში განსახორციელებელი ცვლილების შესახებ

/სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურსი უფროსი, მ. ლობჟანიძე/

ქალბატონმა მ. ლობჟანიძემ აღნიშნა, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულების მე-20 მუხლის 20.3 პუნქტში განხორციელდეს ცვლილება და ნაცვლად, სადისერტაციო ნაშრომის ზღვრული მოცულობა - 180-200 გვ. (არაუმეტეს 400 000 ასო-ნიშანი), ჩამოყალიბდეს: სადისერტაციო ნაშრომის ზღვრული მოცულობა - 120-180 გვ. (არაუმეტეს 350 000 ასო-ნიშანი).

აზრი გამოთქვეს: პროფ. ს. გელაშვილმა, ასოც. პროფ. შ. შაბურიშვილმა

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: **მომხრე – 23**
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: შევიდეს ცვლილება ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულების მე-20 მუხლის 20.3 პუნქტში და ნაცვლად, სადისერტაციო ნაშრომის ზღვრული მოცულობა - 180-200 გვ. (არაუმეტეს 400 000 ასო-ნიშანი), ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: სადისერტაციო ნაშრომის ზღვრული მოცულობა - 120-180 გვ. (არაუმეტეს 350 000 ასო-ნიშანი).

მოისმინეს: „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისათვის საუნივერსიტეტო დაფინანსების გაცემის წესში" ცვლილებების შეტანის შესახებ

/მენეჯერი საფინანსო ეკონომიკურ საკითხებში ა. მიქაბერიძე/

ბატონმა ა. მიქაბერიძემ აღნიშნა, რომ ფაკულტეტის სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2014 წლის 19 დეკემბრის სხდომის ოქმი №15 დამტკიცებულ „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისათვის საუნივერსიტეტო დაფინანსების გაცემის წესში შედის ცვლილებები:

1. პირველი მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში „უნივერსიტეტი") ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის (შემდგომში „ფაკულტეტი") სტუდენტების საუნივერსიტეტო დაფინანსება ითვალისწინებს ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტების დაფინანსებას შერჩევის საფუძველზე, აკადემიური შედეგების გათვალისწინებით."

2. პირველი მუხლის მე-3 პუნქტის 3.1. ქვეპუნქტს დაემატოს :

„დ) ეკონომიკა (ინგლისურენოვანი პროგრამა)."

3. პირველი მუხლის მე-3 პუნქტის 3.2. ქვეპუნქტიდან ამოღებულ იქნეს „დ" ქვეპუნქტი.

4. პირველი მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. საუნივერსიტეტო დაფინანსების მქონე კანდიდატთა შერჩევას წინამდებარე წესის შესაბამისად ახორციელებს კომისია შემდეგი შემადგენლობით: სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი, ფაკულტეტის მენეჯერი საფინანსო-ეკონომიკურ საკითხებში და ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) აკადემიური პროგრამების კოორდინატორი."

5. პირველი მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ფაკულტეტზე შექმნილი კომისია უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვისა და საფინანსო დეპარტამენტებს შესაბამისი სემესტრის საგამოცდო პერიოდის დაწყებამდე წარუდგენს საუნივერსიტეტო დაფინანსების მქონე კანდიდატთა სიას.

6. მე-2 მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. საუნივერსიტეტო დაფინანსება არ გაიცემა:

ა) სტუდენტებზე, რომლებსაც მოპოვებული აქვთ სახელმწიფო/ალტერნატიული დაფინანსების სრული ოდენობა. ნაწილობრივი ოდენობის შემთხვევაში საუნივერსიტეტო დაფინანსება გაიცემა მის პროპორციულად, სწავლის საფასურის სრულად შესავსებად.

ბ) სტუდენტებზე, რომლებიც სწავლობენ სახელმწიფოს მიერ სრულად დაფინანსებულ პრიორიტეტულ საგანმანათლებლო პროგრამაზე და გათვალისწინებულნი არიან დაფინანსებაში.

გ) ბაკალავრიატის პირველი სემესტრის სტუდენტებზე.

დ) დამატებითი სემესტრის სტუდენტებზე.

ე) სტუდენტებზე, რომლებსაც სრულად არ აქვთ დაფარული წინა სემესტრის სწავლის საფასური.

ვ) წინა კალენდარულ სემესტრში სტატუსშეჩერებულ სტუდენტებზე.
ზ) სტუდენტებზე, რომლებსაც საუნივერსიტეტო დაფინანსების გაცემის მომენტისათვის არ აქვთ აქტიური სტუდენტის სტატუსი.
თ) სტუდენტებზე, რომელთა მიერ წინა სემესტრში დაგროვილი კრედიტების რაოდენობა ნაკლებია 30-ზე."

7. მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საუნივერსიტეტო დაფინანსების წესის მიღება, გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება ამ მუხლით დადგენილი წესით."

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დაისვა შეკითხვები და გამოითქვა სხვადასხვა თვალსაზრისები.

აზრი გამოთქვეს: აკად. ა. სილაგაძემ, პროფ. ე. მექვაბიშვილმა, პროფ. ს. გელაშვილმა, ასოც. პროფ. ე. ლეკაშვილმა, ასოც. პროფ. ლ. საბაურმა.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: **მომხრე – 23**
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისათვის საუნივერსიტეტო დაფინანსების გაცემის წესი აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით (იხ. დანართი).

მოისმინეს: ასოცირებული პროფესორის მიხეილ ჩიკვილაძისთვის ივ. ჯავახიშვილის მედლის მინიჭების შესახებ.

/თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი გ. ღაღანიძე/

ფაკულტეტის დეკანმა, პროფ. გ. ღაღანიძემ ხაზი გაუსვა ასოც. პროფ. მ. ჩიკვილაძის ღვაწლს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის წინაშე სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის კუთხით და საბჭოს წინაშე დააყენა საკითხი ასოც. პროფ. მ. ჩიკვილაძისთვის ივ. ჯავახიშვილის მედლის მინიჭების შესახებ.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 23

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს:

1. მიენიჭოს ასოც. პროფ. მ. ჩიკვილაძეს ივ. ჯავახიშვილის მედალი.
2. ეთხოვოს შუამდგომლობა თსუ აკადემიური საბჭოს აღნიშნული საკითხის დასამტკიცებლად.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი: ბ. ღაღანიძე

ფაკულტეტის სწავლული მდივანი,
ასოცირებული პროფესორი: მ. ნაცვალაძე